

**IX საუკუნის კავკასია გერმანელ
მკვლევართა ნაწარმოებში**

**XIX CENTURY CAUCASUS IN THE WORKS
OF THE GERMAN SCHOLARS**

მარინა ანდრაზაშვილი

Marina Andrazashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: XIX საუკუნის კავკასია, კავკასიის
პროვინციები, გერმანელი მოგზაურები

Keywords: XIX century Caucasus, Caucasian provinces, German
travellers

წინამდებარე გამოკვლევის ობიექტია 1987 წელს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამოცემული წიგნი „Reisen im Kaukasus“ (მოგზაურობა კავკასიაში), მიძღვნილი მეცხრამეტე საუკუნის გერმანელი მოგზაურებისა და მკვლევრებისადმი, რომელთაც კავკასიის შესწავლის მიზნით არაერთგზის უმოგზაურიათ ამ მხარეში ხშირად დიდი რისკებისა და საკუთარი სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდების ფასადაც. ნაშრომი საინფორმაციო დანიშნულებისაა და მიზნად ისახავს, გააცნოს ქართველ აუდიტორიას თემატური ასპექტები, რომლებიც იკვეთება წიგნში გამოქვეყნებული ოცი ამონარიდის მიხედვით სხვადასხვა სფეროს გერმანელ სწავლულთა ნაწერებიდან.

XIX საუკუნის ევროპაში საუნივერსიტეტო განათლებამიღებული ავტორები – ადოლფ ბასტიანი, მორიც ფონ კოცებუ, იულიუს ფონ კლაპროთი, მორიც ვაგნერი, გუსტავ რადე, რუდოლფ ვირხოვი, კარლ კოხი, ფრიდრიხ ფონ ბაიერნი და სხვანი, მათ გვერდით ასევე პოეტები ფრიდრიხ მარტინ ფონ ბოდენშტედტი და არტურ ლაისტი – ირიცხებოდნენ გერმანიის, ასევე, რუსეთის იმპერიის პეტერბურგის აკადემიის წევრებად. მათი ჩანაწერების, დღიურებისა თუ პირადი წერილების დასტამბვა გდრ-ის დროინდელ ლაიპციგში, უპირველესად კი ტექსტების გადატანა გოთურიდან ლათინურ შრიფტზე, ითვლება ამ ტიპის პირველ და დღემდე ერთადერთ მცდელობად, თვით წიგნი კი – ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად.

ამონარიდების მიხედვით წიგნში იკვეთება შემდეგი თემატური ხაზები: ა) კავკასიის მდებარეობა – კლაპროთის სიტყვებით, „ძველი მსოფლიოს ყველაზე საოცარი და ყველაზე ნაკლებად ცნობილი მხარე“ ბ) ფრიდრიხ კოლენატის არქეოლოგიური გათხრები და მოკვლეული სამარხები, მეტწილად უკვე გაძარცვული რუსული ექსპედიციების მიერ; გ) ხელუხლებლად შემონახული ალპური ზონის მცენარეული საფარი, რომლის „საშურ მიმზიდველობაზე“ მორიც ვაგნერის მიერ შედგენილი პერბარიუმიც მეტყველებს; დ) მწერების, „ქრელფრთიანი პეპლებისა“ და „უცხო ჯიშის კალიების“ კოლექციები, „რომელთა სადარიც ევროპის ალპებში არ შეხვედრია“ ფრიდრიხ ვილჰელმ პაროტს; ე) კავკასიის ბინადარნი – ადოლფ ბასტიანის თვალთ დანახული „ერთობ პირქუში და სახემოღუშული მთიულები, ჩეჩნები, ყაბარდოელები, ოსები და სხვა ეთნოსის

ხალხები, რომელთა „გარჩევაც ერთმანეთისგან ერთი შეხედვით ჭირს“; ვ) საილუსტრაციო მასალად აღებული, უცნობ ავტორთა დაგეროტიკების მიხედვით დამზადებული ფოტოები, ესკიზები, რუკები; ზ) ფრიდრიხ მარტინ ფონ ბოდენშტეტისა და არტურ ლაისტის ლექსები, შთაგონებული კავკასიის ველური ბუნების ხიბლით.

გამოკვლევაში განსჯის ობიექტია თვით დედნის ენაც, რომელშიც დაცულია XIX საუკუნის ორთოგრაფიული ნორმები, წარმოდგენილია არქაული ლექსიკა, გვხვდება ვრცელი სინტაქსური პერიოდები, სიტყვაუხვი პასაჟები, ასევე რუსიციზმები და ტოპონიმთა რუსიფიცირებული ვერსიები.

ლიტერატურა:

Breuste, J. & Malich, B. (1987). *Reisen im Kaukasus. Berichten aus dem 19. Jahrhundert.* Leipzig: Koehler & Amelang.

Klaproth, J. (1812). *Reise in den Kaukasus und nach Georgien unternommen in den Jahren 1807/1808.* I Bd. Halle 1812. Neuausgabe: Zentralantiquariat Leip. 1970.

The object of research is a book published in the German Democratic Republic in 1987 – „Reisen im Kaukasus“ (Travel to Caucasus), dedicated to the 19th century German travelers and explorers, who travelled to the Caucasus numerous times for the purpose of studying this region. Frequently, these scholars travelled to the Caucasus despite great risks and threats to their lives. The paper is informative and aims to introduce the Georgian society to the thematic aspects provided in the book in the form of twenty abstracts from the works of German scholars working in diverse fields.

The authors with University education in the XIX century Europe – Adolf Bastian, Moritz von Kotzebue, Julius von Klaproth, Gustav Radde, Moritz Wagner, Gustav Radde, Rudolf Virchow, Karl Koch, Fridrich von Bayern and others, as well as poets Friedrich Martin von Bodenstedt and Arthur Leist – were members of the academies in Germany and St. Petersburg, Russian Empire. Publication of their notes, diaries and personal letters in Leipzig in the period of German Democratic Republic, and, above all, the transfer of

texts from Gothic into Latin script, is considered the first and so far unique attempt of this kind, whereas the book itself is regarded as a bibliographical rarity.

The abstracts provided in the book refer to the following themes: a) location of the Caucasus – according to Julius von Klaproth, “the most wonderful and the least known region of the old world“ b) the archeological excavations of Friedrich Kolenati and the burial grounds discovered by him, in most cases already robbed by Russian expeditions; c) the unimpaired plant cover of the Alpine zone, “the captivating beauty” of which is proved by the herbarium composed by Moritz Wagner; d) collections of “colourful butterflies” and “foreign species of grasshoppers” „never discovered in the European Alps“ by Friedrich Wilhelm Parrot; e) the inhabitants of the Caucasus, described by Adolf Bastian as “rather gloomy and morose highlanders, Chechens, Kabardians, Ossetians and people of other ethnicities that are hard to distinguish from one another“; f) illustration material consisting of photographs made from daguerrotypes by unknown authors, sketches and maps; g) poems by Friedrich Martin von Bodenstedt and Arthur Leist, inspired by the charm of Caucasian wildlife.

Another object of research is the language of the original text, which has preserved the spelling rules of the 19th century, archaic vocabulary, vast syntactic periods, loquacious passages, Russianisms and Russian-influenced versions of toponyms.

References:

- Breuste, J. & Malich, B.** (1987). Reisen im Kaukasus. Berichten aus dem 19. Jahrhundert. Leipzig: Koehler & Amelang.
- Klaproth, J.** (1812). Reise in den Kaukasus und nach Georgien unternommen in den Jahren 1807/1808. I Bd. Halle 1812. Neuausgabe: Zentralantiquariat Leip. 1970.